თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა

ქრისტიანული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2 აკადემიური და 34 მოწვეული პედაგოგით.

კრედიტების რაოდენობა - 258, თითო სემესტრში - საშ. 30 კრედიტი, თითო აკადემიური წელი მოიცავს - საშ. 60 კრედიტის დაძლევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

მოძღვრის რეკომენდაცია;

საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი;

ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

შიდა გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);

საქართველოს ისტორია (ზეპირი);

უცხო ენა (ტესტირება - ინგლისური ენა (A2), რუსული ენა - (A2), გერმანული ენა - (A2), ფრანგული ენა (A2) ან ახალი ბერძნული ენა (A2).

შიდა გამოცდების ქვედა ზღვარია 51 ქულა, ზედა ზღვარი - 100 ქულა.

მისაღები სტუდენტების რაოდენობაა არაუმეტეს 40.

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო და სასემინარო საათები, რომელიც მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს: წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდს, ახსნა-განმარტებით მეთოდს, სემესტრული სემინარების/კოლოკვიუმების მომზადება-ჩაბარებას, რეფერატის წერას, სემესტრულ/დასკვნით გამოცდას.

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიანებს შუალედურ შეფასებას, კოლოკვიუმისა და სემინარის ქულებს, ლექციაზე დასწრებისა და დასკვნითი შეფასების საერთო ჯამს (გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს არანაკლებ 11 ქულისა). სასწავლო კურსი გულისხმობს პრაქტიკულ მუშაობას, კერძოდ მეოთხე კურსის მეორე სემესტრში სტუდენტები გადიან სტაჟირებას თბილისის №6 საჯარო ბაგა-ბაღში.

I კურსი მოიცავს 56 კრედიტს. ძირითადი დატვირთვა აქვს ჰუმანიტარულ და საღვთისმეტყველო საგნებს: ახალი ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, ფსიქოლოგიის საფუძვლები, უცხო ენა. სტუდენტები შეისწავლიან წმინდა წერილის ტექსტს (ძველი და ახალი აღთქმა).

II კურსი მოიცავს 58 კრედიტს. ძირითადი დატვირთვა აქვს ჰუმანიტარულ და საღვთისმეტყველო საგნებს: სტუდენტები შეისწავლიან წმინდა წერილის ტექტს (ძველი და ახალი აღთქმა), საქართველოს ეკლესიის ისტორიას, უცხო ენას, აკადემიურ წერას.

ასევე სტუდენტი მიიღებს ცოდნას ფსიქოლოგიის ისტორიასა და სოციალური ფსიქოლოგიის დარგის თეორიული საფუძვლების შესახებ.

III კურსი მოიცავს 64 კრედიტს. სტუდენტს ეძლევა საბაზისო განათლება ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიასა და ძირითადი მიმდინარეობების შესახებ. სტუდენტები დაეუფლებიან ფსიქოლოგიის სხვადასხვა კვლევის მეთოდების თეორიულ საფუძვლებსა და მათი ჩატარების უნარ-ჩვევებს, მცირემასშტაბიან გამოკვლევებში მონაწილეობას. პიროვნების ფსიქოლოგიის ცოდნის საფუძველზე სტუდენტები შეძლებენ პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებებისა და დებულებების შედარებასა და განმარტებას.

ასევე, კურსის მიზანია სტუდენტმა მიიღოს ცოდნა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და ამასთან შეისწავლოს მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმატები.

IV კურსი მოიცავს 80 კრედიტს. ინკლუზიური განათლების (ქცევის გამოყენებითი ანალიზი) და ბავშვთა ფსიქიკური დარღვევების საფუძველზე სტუდენტები შეძლებენ პიროვვნების ქცევის გარეგანი და შინაგანი დეტერმინანტების ახსნას და კლასიფიკაციას. დაეუფლებიან ცოდნასა და უნარებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების ხერხების შესახებ.

სტუდენტები გაეცნობიან პიროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელ თეორიებს.

კოგნიტური ფსიქოლოგიის საფუძველზე სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის კოგნიტური პროცესების სტრუქტურისა და შემეცნებითი პროცესების შესახებ.

ფსიქოლოგია და მართლმადიდებლობა და პიროვნების ფსიქოლოგიის (მრევლი და მოძღვარი) ცოდნის საფუძველზე სტუდენტები შეძლებენ წმინდა ფსიქოლოგიური საკითხების გააზრებას ქრისტიანული მსოფლმხედველობითა და სარწმუნოებრივი თვალთახედვით.

ასევე, კურის მიზანია სტუდენტმა მიიღოს ცოდნა ეკლესიის ისტორიაში, რელიგიათმცოდნეობაში, ფილოსოფიასა და პატროლოგიაში.

IV კურსის II სემესტრში სტუდენტები გაივლიან პრაქტიკა-სტაჟირებას ქ.თბილისის №6 საჯარო ბაგა-ბაღში, სადაც გაიცემა სერტიფიკატი.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უფლება აქვს: რეკომენდაციის შემთხვევაში საღვთისმეტყველო პროფილით პედაგოგად მუშაობისა.

კურსდამთავრებულები შეძლებენ ფსიქოლოგის ასისტენტობას სასწავლო დაწესებულებაში სწავლა/სწავლების დაგეგმვას და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან ინდივიდუალური სამუშაო გეგმის გაწერას.

მკვლევარის ხელმძღვანელობით ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვასა და ჩატარებას. ექნებათ ტესტისა და კითხვარის ჩატარების ზოგადი უნარ-ჩვევები.

შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მომდევნო სწავლის საფეხურზე.

ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი

I კურსი (I სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	ძველი აღთქმა I	4	3 სთ
2.	ახალი აღთქმა I	4	3 სთ
3.	უცხო ენა	5	4 სთ
4.	საქართველოს ისტორია I	4	3 სთ
5.	ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა I	4	3 სთ
6.	ფსიქოლოგიის საფუძვლები I	5	3 სთ
7.	ახალი ქართული ენა I	-	3 სთ
8.	გალობა I	-	1 სთ
	ჯამში	სულ 26	23 სთ

I კურსი (II სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	ძველი აღთქმა II	4	3 სთ
2.	ახალი აღთქმა II	4	3 სთ
3.	უცხო ენა	5	4 სთ
4.	საქართველოს ისტორია II	4	3 სთ
5.	ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა I I	4	3 სთ
6.	ფსიქოლოგიის საფუძვლები II	5	3 სთ
7.	ახალი ქართული ენა II	4	3 სთ
8.	გალობა II	-	1 სთ
	ჯამში	სულ 30	23 სთ

II კურსი (I სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	ძველი აღთქმა III	4	3 სთ
2.	ახალი აღთქმა III	4	3 სთ
3.	უცხო ენა	5	4 სთ
4.	საქართველოს ეკლესიის ისტორია I	4	3 სთ
5.	სოციალური ფსიქოლოგია I	5	3 სთ
6.	ფსიქოლოგიის ისტორია I	5	3 სთ
7.	ძველი ქართული ენა I	-	3 სთ
	ჯამში	სულ 27	22 სთ

II კურსი (II სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	ძველი აღთქმა IV	4	3 სთ
2.	ახალი აღთქმა IV	4	3 სთ
3.	უცხო ენა	5	4 სთ
4.	საქართველოს ეკლესიის ისტორია II	4	3 სთ
5.	სოციალური ფსიქოლოგია II	4	3 სთ
6.	ძველი ქართული ენა II	5	3 სთ
7.	აკადემიური წერა	5	3 სთ
	ჯამში	სულ 31	22 სთ

III კურსი (I სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	ძველი აღთქმა V	4	3 სთ
2.	ახალი აღთქმა V	4	3 სთ
3.	ფსიქოლოგიის როლი განათლების სისტემაში	5	4 სთ
4.	ქრისტიანული პედაგოგიკა I	5	3 სთ
5.	განვითარების ფსიქოლოგია I	5	3 სთ
6.	პიროვნების ფსიქოლოგია I	5	3 სთ
7.	ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები I	5	3 სთ
	ჯამში	სულ 33	22 სთ

III კურსი (II სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	ძველი აღთქმა VI	4	3 სთ
2.	ახალი აღთქმა VI	4	3 სთ
3.	დოგმატური ღვთისმეტყველება	5	3 სთ
4.	ქრისტიანული პედაგოგიკა II	5	3 სთ
5.	განვითარების ფსიქოლოგია II	5	3 სთ
6.	პიროვნების ფსიქოლოგია II	5	3 სთ
7.	მსოფლიო ლიტერატურის ისტორია	3	3 სთ
	ჯამში	სულ 31	21 სთ

IV კურსი (I სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	საბაკალავრო ნაშრომი	5	3 სთ
2.	ფსიქოლოგია და მართლმადიდებლობა I	5	3 სთ
3.	ინკლუზიური განათლება - ქცევის გამოყენებითი ანალიზი	5	3 სთ
4.	ფსიქოკონსულტაცია I	5	3 სთ
5.	კოგნიტური ფსიქოლოგია I	5	3 სთ
6.	ეკლესიის ისტორია	4	3 სთ
7.	ფილოსოფია	5	3 სთ
	ჯამში	სულ 32	21 სთ

IV კურსი (II სემესტრი)

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა კვირაში
1.	პატროლოგია	5	3 სთ
2.	ფსიქოლოგია და მართლმადიდებლობა II	5	3 სთ
3.	პიროვნების ფსიქოლოგია - მრევლი და მოძღვარი	5	3 სთ
4.	ბავშვთა ფსიქიკური განვითარების დარღვევები	5	3 სთ
5.	პათოფსიქოლოგიისა და ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები	5	3 სთ
6.	ფსიქოკონსულტაცია II	5	3 სთ
7.	რილიგიათმცოდნეობა	3	3 სთ
8.	პრაქტიკა-სტაჟირება	10	3 სთ
9.	საბაკალავრო ნაშრომის დაცვა	5	
	ჯამში	სულ 48	21 სთ